კავკასიის უნივერსიტეტი
კავკასიის ეკონომიკის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	Economics
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	საბაკალავრო
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კოდი	ეკონომიკის ბაკალავრი, 0311
ქართულად:	ეკონომიკის ბაკალავრი
ინგლისურად:	Bachelor of Economics
პროგრამის დამტკიცების თარიღი	დამტკიცებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2014 წ. 27.09 N 01/01-94 ბრძანებით.
პროგრამის განახლების თარიღი	ცვლილებები დამტკიცებულია №01/01-100, 29.10.2014; №01/01-23, 25.08.2015; №01/01-35, 08.09.2016 №11/01-21, 11.02.2019, №01/01-49 04.06.2019, N01/01-53 08.09.2020, N01/01-75 30.11.2021 ბრძანებებით, N01/01-20, 28.03.2024 , N01/01-88, 11.12.2024, N01/01-105, 19.12.2025, N01/01-24, 29.04.2026 ბრძანებით
პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი	ვანო ბენიძე, ეკონომიკის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	

ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 180 ECTS კრედიტს. საბაკალავრო პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობა შეადგენს 3 აკადემიურ წელს. სემესტრი მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს. აკადემიური წელი არის სემესტრების ერთობლიობა და მათ შორის დასვენების პერიოდი. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს, ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს. დამატებით შესაძლებელია, ზაფხულის სემესტრის ორგანიზება. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტმა მხედველობაში უნდა მიიღოს ის გარემოება, რომ მას არ აქვს უფლება ერთი სასწავლო წლის განმავლობაში აითვისოს 75 ECTS კრედიტზე მეტი.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ, აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით, სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს 4 სემესტრისა) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.

მოცემული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში 180 ECTS კრედიტის შესაძლო განაწილების სქემა: ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 152 ECTS კრედიტი ეთმობა სავალდებულო დისციპლინებს. მათ შორის:

- 25 კრედიტი - ზოგადსაუნივერსიტეტო საგნები
- 20 კრედიტი - ინგლისური ენა
- 77 კრედიტი - სპეციალობის სავალდებულო საგნები
- 30 კრედიტი - პრაქტიკული/კვლევითი კომპონენტი

152 ECTS კრედიტის გარდა, სტუდენტს საშუალება ეძლევა დანარჩენი 28 ECTS კრედიტი აირჩიოს სპეციალობის არჩევითი საგნებიდან და თავისუფალი კომპონენტიდან.

შესაბამისად, ძირითადი სწავლის სფეროს კომპონეტს ეთმობა 135 ECTS კრედიტი, ხოლო თავისუფალ კომპონენტს - 45 კრედიტი.

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტისათვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნისა და უნარების გამომუშავებაზე. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბება ხდება პროგრამით გათვალისწინებული სხვადასხვა კომპონენტების სინთეზის საფუძველზე.

უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოში განსაზღვრული ბაკალავრის კომპეტენციებისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა ისეა აგებული, რომ

სტუდენტებს სრულ წარმოდგენას უქმნის როგორც ზოგადად ეკონომიკის, ისე მისი ცალკეული მიმართულებების შესახებ. პროგრამა ასევე მოიცავს დამხმარე ცოდნის (ზოგადინტელექტუალური, კომუნიკაციური კომპეტენციები) განმსაზღვრელ სასწავლო კომპონენტებს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ბაკალავრს უყალიბდება ის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომლებიც შემდგომში მას შრომით ბაზართან ადაპტაციის და პროფესიული ორიენტაციის საშუალებას მისცემს.

პროგრამის კომპონენტები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევაზე. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების თანმიმდევრობა და მათი ევოლუცია განსაზღვრავს პროგრამის შინაარსს, მის სტრუქტურას და აისახება სასწავლო გეგმაში.

საბაკალავრო პროგრამის 180 ECTS კრედიტის განაწილების სქემა:

<u>**საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსების**</u> კომპონენტი ორიენტირებულია საბაზისო წერითი და ვერბალური, საინფორმაციო-ტექნოლოგიური უნარების გამომუშავება-განვითარებაზე.

<u>**ინგლისური ენების კომპონენტი**</u> ორიენტირებულია ინგლისური ენის, როგორც ძირითადი საკომუნიკაციო ენის, და მეორე ენის, როგორც დამხმარე ენის, სწავლების უზრუნველყოფაზე და აღნიშნულის მეშვეობით უცხოურ ენაზე კომუნიკაციის ხელშეწყობაზე, ინგლისურენოვანი წყაროების სწავლისა და სწავლების პროცესში ინტეგრაციაზე, ინტერნაციონალიზაციის ელემენტის გაძლიერებაზე, დასაქმების შესაძლებლობების გაზრდაზე. ძირითადი უცხო ენის - ინგლისური ენის შესასწავლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 20 ECTS კრედიტი.

შენიშვნა: თუ სტუდენტი წარმოადგენს ინგლისურ ენაში შესაბამისი დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს/დოკუმენტს, თავისუფლდება ზოგადი ინგლისური ენის აღნიშნული დონის სწავლებისაგან და შეუძლია შესაბამისი კრედიტების დაფარვის მიზნით აირჩიოს სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები ან თავისუფალი კრედიტები.

<u>**სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების**</u> ეკონომიკაში არსებული თეორიებისა და პრინციპების, სფეროსათვის დამახასიათებელი და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის შესახებ ფართო ცოდნის მიცემაზე, სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერების ხელშეწყობაზე, პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების პროცესში დარგის ფარგლებში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარის სტიმულირებაზე, პროფესიული მოღვაწეობისათვის აუცილებელი ღირებულებების ფორმირებაზე.

<u>**სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების**</u> კომპონენტი სტუდენტს საშუალებას აძლევს გაიღრმავოს ცოდნა მისი ინტერესის შესაბამისად და აირჩიოს არჩევითი მოდულებიდან მისთვის სასურველი საგნები. არჩევითი დისციპლინები სტუდენტებს აძლევს საშუალებას, გამოიყენონ საბაკალავრო პროგრამის ძირითადი საგნების ფარგლებში მიღებული ცოდნა. არჩევითი საგნების ფარგლებში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს <u>**თავისუფალი კრედიტები**</u> (10 ECTS), რაც მას აძლევს შესაძლებლობას, მისი ინტერესების შესაბამისად, დაეუფლოს დამატებით ცოდნას ყოველგვარი ფორმალური გამაერთიანებელი სქემის გარეშე. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა სტუდენტს აძლევს საშუალებას, თავისუფალი კრედიტების ფარგლებში ჩაეთვალოს კავკასიის უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო პროგრამებიდან ან მობილობის დროს შესაბამისი კრედიტების აღიარების გზით.

<u>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</u>

- ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს.
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გამოცდების ეროვნული ცენტრი. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში.
- ეროვნულ გამოცდებზე ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხო ენად ინგლისური, ფრანგული, გერმანული ან რუსული ენის, ხოლო მესამე საგნად მათემატიკის, ჩაბარება.
- პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

<u>კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობა</u>

კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობაა - პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების შესრულება დადგენილ ვადაში.

საბაკალავრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

საბაკალავრო პროგრამის მიზანი	ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს სპეციალისტი, რომელსაც აქვს ეკონომიკის ძირითადი პრინციპების, პროცესებისა და თეორიების საფუძვლიანი ცოდნა; **პროგრამის მიზანია:** • მისცეს სტუდენტს ფართო თეორიული ეკონომიკური ცოდნა, • შეუქმნას წარმოდგენა ეკონომიკური კვლევების თანამედროვე მეთოდებსა და მათი გამოყენების შესაძლებლობებზე, • გამოუმუშავოს დინამიურ ეკონომიკურ გარემოში პრაქტიკული საქმიანობის უნარ-ჩვევები; • გააცნოს ეკონომიკის ფუნქციონირების კანონზომიერებები მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეზე; • თეორიული და სპეციალური ცოდნის სინთეზის საფუძველზე სტუდენტს შესძინოს კომპეტენციები ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებზე; • კურსდამთავრებულმა პრაქტიკაში გამოიყენოს ეკონომიკის თანამედროვე პრინციპები და მეთოდები, მოახდინოს შედეგების სწორი ინტერპრეტაცია, განახორციელოს პრაქტიკული პროექტები; • სტუდენტს გამოუმუშავოს ანალიზის, კრეატიული და ინოვაციური აზროვნების უნარები, მოახდინოს ეკონომიკური ხასიათის მონაცემების შეგროვების საფუძველზე სიტუაციების ანალიზი და განზოგადებული დასკვნების გაკეთება; კავკასიის უნივერსიტეტის მისიასთან სრულ თანხვედრაშია პროგრამის მიზნები, რომლებიც ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა და რა წვლილს შეიტანს იგი დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. პროგრამის მიზნები სრულად შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტის მისიასა და განვითარების სტრატეგიულ გეგმას.
სწავლის შედეგები	**ცოდნა** 1. საფუძვლიანად იცნობს ეკონომიკის პრინციპებსა და თეორიებს; 2. აცნობიერებს ეკონომიკის ფუნქციონირების კანონზომიერებებს მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეზე; 3. ჩამოყალიბებული აქვს კომპეტენციები ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში; 4. იცის ეკონომიკური კვლევების თანამედროვე მეთოდები. **უნარი** 5. პრაქტიკაში იყენებს ეკონომიკის თანამედროვე პრინციპებს 6. ამუშავებს ეკონომიკურ ამოცანებს, აანალიზებს მათ და გამოაქვს შესაბამისი დასკვნები **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** 7. ხელმძღვანელობს როგორც ზოგადსაკაცობრიო, ასევე ეროვნული ღირებულებებით, ეკონომიკის პრინციპების საფუძვლიანი ცოდნა მას ხდის უფრო პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქედ.
დასაქმების სფეროები	პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს შესაბამისი ცოდნა და უნარები, რათა დასაქმდეს საჯარო დაწესებულებაში, არასამთავრობო სექტორში, კვლევით ინსტიტუტებსა თუ კერძო კომპანიებში.
სწავლის გაგრძელების საშუალება	პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია მაგისტრატურაში.
სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა	

შეფასების მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად არის მიღწეული სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგები. სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტიანი და უზრუნველყოფს კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. სტუდენტთა შეფასება ეფუძნება შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა, გამჭვირვალობა.

სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასების მიზანია სტუდენტის მიღწევის ზუსტი შეფასება. იგი აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. განმავითარებელი შეფასება სტუდენტის განვითარებაზეა მიმართული. იგი აწვდის სტუდენტს მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირს.

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან.

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთათვისაც შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) საბოლოო შეფასებაში განსაზღვრულია ხვედრითი წილი და დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კერძოდ, მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების - 30 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედურ შეფასებებში განსაზღვრულია შეფასების კომპონენტები, რომლებიც ჯამურად შეადგენენ 70 ქულას. შეფასების თითოეული კომპონენტისთვის, შეფასება ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ, ზუსტ, მკაფიო კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს. სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 59%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 60%.

სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს დამატებით გამოცდაზე, თუ იგი ვერ გადალახავს დასკვნითი გამოცდის მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს აკადემიური კალენდრით დადგენილ პერიოდში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში. საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის ან შეფასების რომელიმე ფორმაში (შუალედური/დასკვნითი) მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერ გადალახვის შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0 ქულა.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები	

1. **ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი:** მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვა. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით, მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.
2. **წერითი მუშაობის მეთოდი:** ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვა.
3. **ლაბორატორიული მეთოდი მეთოდი:** საკლასო სამუშაოები, ვიდეომასალების ჩვენება და ა.შ.
4. **პრაქტიკული მეთოდები**, როდესაც სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს აქტივობებს: პრაქტიკულ დავალებებს, საველე სამუშაოებს და ა. შ.

5. **ახსნა-განმარტებითი მეთოდი:** მსჯელობა მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
6. **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების მეთოდი, სტუდენტთა ჩართულობის ხარისხისა და აქტივობის ასამაღლებლად, რომელიც მათ საკუთარი აზრის არგუმენტირებულად გამოთქმის, სხვისი აზრის მოსმენისა და კამათის უნარებს უვითარებს.
7. **როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი,** როდესაც ლექციაზე ვითარდება კონკრეტული სცენარი, სტუდენტს კი როლური თამაშები საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს, ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ეს მეთოდიც სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარებს უყალიბებს.
8. **ჯგუფური** (collaborative) **მუშაობა** - მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტთა მაქსიმალური ჩართულობისთვის მათ ჯგუფებად დაყოფას და ისეთი სასწავლო დავალების მიცემას, რომლის ფარგლებშიც ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს/მის სხვადასხვა კომპონენტს, უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს და პროდუქტს წარმოადგენენ ერთობლივად.
9. **შემთხვევის ანალიზის მეთოდი (Case study),** როდესაც ლექტორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე კონკრეტულ შემთხვევებს განიხილავს. ეს კი განხილული საკითხის ყოველმხრივ და საფუძვლიანად შესწავლის საშუალებას იძლევა. სტუდენტებს უვითარდებათ ანალიტიკური აზროვნება, გუნდური მუშაობის, ალტერნატიული აზრის მოსმენისა და გაგების, ალტერნატივების გათვალისწინებით განზოგადოებული გადაწყვეტილებების გამომუშავების, მოქმედებების დაგეგმვისა და მათი შედეგების პროგნოზირების უნარები.
10. **დემონსტრირების მეთოდი:** გულისხმობს ინფორმაციის აუდიო თუ ვიზუალურად წარმოდგენას. მასალის დემონსტრირება შესაძლებელია მოხდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. მეთოდი ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს, თვალსაჩინოს ხდის სასწავლო მასალას და ეხმარება სტუდენტებს იმის აღქმაში, თუ რისი შესრულება მოუწევთ მათ დამოუკიდებლად.
11. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღებისა და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.
12. **ევრისტიკული მეთოდი**, რომელიც ეფუძნება დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. პროცესი მიმდინარეობს სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით.
13. **ინდუქციური მეთოდი:** ცოდნის გადაცემის ფორმა, როდესაც სწავლის პროცესი ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.
14. **დედუქციური მეთოდი**: ცოდნის გადაცემის ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმართავს, ანუ პროცესს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
15. **ანალიზის მეთოდი:** სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლა, რაც ამარტივებს რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების აღქმას.
16. **სინთეზის მეთოდი:** ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენა, რომელიც ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.
17. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** - მეთოდი, როდესაც პედაგოგი და სტუდენტი აქტიურად არიან ჩართულნი სწავლების პროცესში და როდესაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.
18. **პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია:** მეთოდი აერთიანებს ისეთ სასწავლო-შემეცნებით ხერხებს, რომელთა გამოყენების დროსაც სტუდენტი მოქმედებს დამოუკიდებელად და შედეგად მიღებულს წარმოადგენს აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. პროექტზე მუშაობა არჩეული საკითხის შესაბამისად მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს. პროექტი შესაძლოა შესრულდეს როგორც ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად, ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. ის შესრულებულად ითვლება, თუ შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. დასრულებული პროექტი შესაძლოა წარედგინოს ფართო აუდიტორიას.
19. **ელექტრონული სწავლება (E-learning)** - მეთოდი, რომელიც გულისხმობს სწავლებას ინტერნეტითა და მულტიმედიური საშუალებებით. სწავლების პროცესის კომპონენტების (მიზნები, შინაარსი, მეთოდები, საშუალებები და სხვა) რეალიზება ხდება სპეციფიკური საშუალებებით. წარმოდგენილ პროგრამაში გამოიყენება ელექტრონული სწავლების მეთოდის "დასწრებული" ფორმა, როდესაც

სწავლების პროცესი მიმდინარეობს პედაგოგისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით.

20. **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** – სწავლების იმგვარი სტრატეგიის მეთოდი, როდესაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მანამდე მუშაობს თემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.
21. **გონებრივი იერიში (Brain storming)** – პრობლემის გადაჭრის ოპერატიული მეთოდი შემოქმედებითი აქტიურობის სტიმულირების საფუძველზე. მეთოდი გულისხმობს კონკრეტული საკითხის შესახებ რაც შეიძლება მეტი, რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებისა და მათი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კომპონენტისათვის შერჩეულია ისეთი რელევანტური სწავლის მეთოდები, რომელიც შესაბამისობაშია კურსის შინაარსთან და მიზნებთან და შესაძლებელს ხდის კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები	

- 8 (8) პროფესორი, 13 (10) ასოცირებული პროფესორი, 7 (6) აფილირებული ასისტენტ-პროფესორი, 8 მოწვეული ლექტორი.

პროგრამის სხვა რესურსები	

კავკასიის უნივერსიტეტი არის მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი, დადებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან, აგრეთვე კვლევით ინსტიტუტებთან, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რითაც უზრუნველყოფს მიმდინარე და დაგეგმილი აკადემიური პროგრამების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას, პროგრამებში უცხოელი პროფესორ- მასწავლებლების ჩართვას, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გაცვლას და პროფესიულ განვითარებას.

საერთაშორისო ორგანიზაციების რესურსები: კავკასიის უნივერსიტეტის ერთ-ერთი ყველაზე ხელშესახები მიღწევაა, ფართო მასშტაბური ინტეგრირება მსოფლიო საგანმანათლებლო ბაზარზე. ამჟამად კავკასიის უნივერსიტეტი მეორე, მესამე და მეოთხე კურსის სტუდენტებს სთავაზობს გაცვლით პროგრამებს შემდეგ უნივერსიტეტებში: ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტი - ამერიკა; ფორცაიმის უნივერსიტეტი - გერმანია; პარიზის ბიზნესის სკოლა - საფრანგეთი; კლერმონის ბიზნესის უმაღლესი სკოლა - საფრანგეთი; დანკერკის უმაღლესი ბიზნესის ინსტიტუტი - საფრანგეთი; ვილნიუსის უნივერსიტეტი - ლიტვა; ესტონეთის ბიზნესის სკოლა - ესტონეთი; ტალინის ტექნოლოგიების უნივერსიტეტი - ესტონეთი; კიპროსის უნივერსიტეტი - კიპროსი; სტეიერის ზემო ავსტრიის უნივერსიტეტი - ავსტრია; რიგის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების საერთაშორისო სკოლა - ლატვია; რიგის ტექნიკური უნივერსიტეტი - ლატვია; აჯოუს უნივერსიტეტი - სამხრეთ კორეა; სტამბულის ბილგის უნივერსიტეტი - თურქეთი; ლისაბონის უნივერსიტეტი - პორტუგალია.

კავკასიის უნივერსიტეტი არის შემდეგი საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი: ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მენეჯმენტის განვითარების ასოციაცია (CEEMAN); საერთაშორისო ბიზნესისა და ეკონომიკის სკოლების ქსელი (NIBES); უნივერსიტეტის პრეზიდენტთა საერთაშორისო ასოციაცია (IUAP); ჰარვარდის ბიზნესის სკოლის სტრატეგიისა და კონკურენტუნარიანობის ინსტიტუტის წევრი (Harvard Business School's Instute of Strategy and Competitiveness Network)

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა	

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის (სულ **25114** ერთეული ბეჭდური და **10862** ერთეული ელექტრონული წიგნი და სხვა სახის გამოცემა). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური 1 ასლგადამღები აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის 4 თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით:

ხელმისაწვდომი ბაზების ჩამონათვალი:

EBSCO HOST:

- Academic Search Premier
- Business Source Premier
- eBook Collection
- Health Source - Consumer Edition
- Health Source: Nursing/Academic Edition
- International Security & Counter-Terrorism Reference Center
- Legal Source
- MasterFILE Premier
- MasterFILE Reference eBook Collection - Worldwide
- MEDLINE
- MEDLINE with Full Text
- Newspaper Source
- Regional Business News

- Emerald
- ScienceDirect
- Scopus
- Sci-val Funding(Funding Institutional)
- LexisNexis
- HeinOnline
- Jstor
- Taylor and Francis
- Math Scientific Publishing (MSP)-Journals

პროგრამული უზრუნველყოფები PHD პროგრამის სტუდენტებისთვის:

- https://scite.ai/
- Consensus
- Writesonic

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ლაბორატორია და კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. კომპიუტერები უზრუნველყოფილია შესაბამის პროგრამული ინსტრუმენტებით/აპლიკაციებით. აუდიტორიები და კომპიუტერული კლასები უზრუნველყოფილია ლოკალური ქსელით და ინტერნეტით.
სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათებო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან

დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი. კავკასიის უნივერსიტეტი სადღეისოდ აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული საშუალებებით, ასლგადამღები აპარატურით (რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის განახლება მოხდა 2018 წელს). ამჟამად უნივერსიტეტში A , B და C სართულებზე გაშვებულია ცხრა კომპიუტერული კლასი. ასეთი კლასები პერსონალური კომპიუტერით და მულტიმედია პროექტორებით არის დაკომპელქტებული. ასეთი პროექტორებით და კომპიუტერებით აღჭურვილია ყველა აუდიტორია და ბიბლიოთეკა. ადმინისტრაცია და პრაქტიკულად ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია კომპიუტერებით და ინტერნეტთან წვდომით. უნივერსიტეტის საკომპიუტერო პარკი 400 ერთეულზე მეტს შეადგენს. ამას ემატება ორგტექნიკა პრინტერების და სკანერების სახით, 40 ე.წ. „Smart board", სწრაფქმედი (მაღალი წარმადობის) „კიოსერას" ფირმის ასლგადამღები აპარატები, აგრეთვე ფერადი ასლგადამღბი დანადგარი „HP MFD" - ტიპის. უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია WiFi, ასევე უზრუნველყოფილია სატელეფონო კავშირი IP ტელეფონებით (რისთვისაც შეძენილია 130-ზე მეტი შესაბამისი ტელეფონი). უნივერსიტეტის სასერვეროში მოქმედებს ხუთი ერთეული თანამედროვე სერვერი, ხოლო მის ტერიტორიაზე დამონტაჟებულია შესაბამისი ქსელური აპარატურა („Cisco"-ს და "Aruba/HP"-ის სვიჩებით, Fortinet-ის NG Firewall-ით, wireless controller და access point-ებით, და ა.შ.), სულ 100-ზე მეტი ამგვარი მოწყობილობით. უნივერსიტეტი ჩართულია გარე ქსელში და აქვს ინტერნეტთან წვდომა გლობალური 400 მბ/წ ხოლო ლოკალური კავშირი 1 გბ/წ. ამასთან ერთად, საერეზერვო ინტერნეტ კავშირი 30 მბ/წ.

ეკონომიკის
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა

№	კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი\მოდული	სწავლების წელი						ჯამური ECTS კრედიტი
				I		II		III		
				ECTS კრედიტი						
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
			ზოგადსაუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები	**10**	**10**	**5**				**25**
1.	HIST 0003.31	არ გააჩნია	საქართველოს ისტორია	5						
2.	CSC 1112.31	არ გააჩნია	საინფორმაციო სისტემები 1	5						
3.	GEO 0005.31	არ გააჩნია	სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი		5					
4.	CSC 1212.31	CSC 1112.31	საინფორმაციო სისტემები 2		5					
5.	ACWR 0007.31	არ გააჩნია	აკადემიური წერა			5				
			ინგლისური ენა (სავალდებულო)	**5**	**5**	**5**	**5**			**20**
6.	GENG 0001.31/GENG 0003.31	არ გააჩნია	ინგლისური ენა, ზოგადი ნაწილი ბ1.0/ ინგლისური ენა, ზოგადი ნაწილი ბ2.0	2.5						
7.	PENG 1112.31	არ გააჩნია	პროფესიული ინგლისური P1	2.5						
8.	GENG 0002.31/GENG 0004.31	GENG 0001.31/GENG 0003.31	ინგლისური ენა, ზოგადი ნაწილი ბ1/ ინგლისური ენა, ზოგადი ნაწილი ბ2		2.5					
9.	PENG 1212.31	PENG 1112.31	პროფესიული ინგლისური P2		2.5					
10.	GENG 0003.31/GENG 0005.31	GENG 0002.31/GENG 0004.31	ინგლისური ენა, ზოგადი ნაწილი ბ2.0/ ინგლისური ენა, ზოგადი ნაწილი ც1.0			2.5				
11.	PENG 2112.31	PENG 1212.31	პროფესიული ინგლისური P3			2.5				

№	კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი\მოდული	სწავლების წელი						ჯამური ECTS კრედიტი
				I		II		III		
				ECTS კრედიტი						
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
12.	GENG 0004.31/GENG 0006.31	GENG 0003.31/GENG 0005.31	ინგლისური ენა, ზოგადი ნაწილი ბ2/ინგლისური ენა, ზოგადი ნაწილი ც1				2.5			
13.	PENG 2212.31	PENG 2112.31	პროფესიული ინგლისური P4				2.5			
			სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების მოდული	**10**	**15**	**17**	**24**	**11**		**77**
14.	IMICR 1112.31	არ გააჩნია	შესავალი მიკროეკონომიკაში	5						
15.	IMACR 1212.31	IMICR 1112.31	შესავალი მაკროეკონომიკაში		5					
16.	MATH 0003.31	არ გააჩნია	კალკულუს 1	5						
17.	MATH 0004.31	MATH 0003.31	კალკულუს 2		5					
18.	MICR 2112.31	IMICR 1112.31	მიკროეკონომიკა 1			6				
19.	FFINA 1212.31	არ გააჩნია	ფინანსური აღრიცხვის საფუძვლები		5					
20.	ISTAT 2112.31	არ გააჩნია	ეკონომიკის სტატისტიკის საფუძვლები			6				
21.	MATH 0002.31	MATH 0003.31	წრფივი ალგებრა			5				
22.	STATE 2212.31	ISTAT 2112.31	სტატისტიკა ეკონომისტებისათვის				6			
23.	MICR 2212.31	MICR 2112.31	მიკროეკონომიკა 2				6			
24.	ECON 2212.31	ISTAT 2112.31	ეკონომეტრიკა (Eviews-ის გამოყენებით)				6			
25.	MACR 2212.31	IMACR 1212.31	მაკროეკონომიკა 1				6			
26.	MACR 3112.31	MACR 2212.31	მაკროეკონომიკა 2					6		
27.	DATA 3112.31	CSC 1212.31	მონაცემთა ანალიზი და ეკონომიკური მოდელირება					5		
			სპეციალობის სავალდებულო პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტი					**10**	**20**	**30**
28.	FER 3112.31	STATE 2212.31	ეკონომიკური კვლევის საფუძვლები					10		

№	კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი\მოდული	სწავლების წელი						ჯამური ECTS კრედიტი
				I		II		III		
				ECTS კრედიტი						
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
29.	PRAC 3212.31	არ გააჩნია	სასწავლო პრაქტიკა ეკონომიკაში						10	
30.	THES 3212.31	FER 3112.31	საბაკალავრო ნაშრომი						10	
			სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების მოდული	**5**		**6**		**11**	**6**	**28**
31.	MATH 0001.31	არ გააჩნია	პრეკალკულუსი	5						
32.	PUTS 1012.31	არ გააჩნია	საჯარო გამოსვლის-პრეზენტაციების ტექნიკა/უნარები	5						
33.	SOCI 0004.31	არ გააჩნია	სოციოლოგია	5						
34.	IBUS 1012.31	არ გააჩნია	ბიზნესის საფუძვლები	5						
35.	ECDO 2012.31	არ გააჩნია	ეკონომიკური დოქტრინები			6				
36.	SOCP 2012.31	არ გააჩნია	სოციალური პოლიტიკა			6				
37.	MTHP 2012.31	IMACR 1212.31	მონეტარული თეორია და პოლიტიკა			6				
38.	IECO 3012.31	IMACR 1212.31	საერთაშორისო ეკონომიკა					6		
39.	ECGD 3012.31	IMACR 1212.31	ეკონომიკური ზრდა და განვითარება					6		
40.	FIA 2012.31	FFINA 1212.31	ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება			6				
41.	GTEO 3012.31	არ გააჩნია	თამაშთა თეორია					5		
42.	LED 3012.31	IMACR 1212.31	ადგილბრივი ეკონომიკური განვითარება					6		
43.	AECON 3012.31	IMACR 1212.31	აგრარული ეკონომიკა					5		
44.	CECON 3012.31	არ გააჩნია	ცირკულარული ეკონომიკა						6	
45.	FES 3012.31	არ გააჩნია	ფირმის ეკონომიკა და სტრატეგიები						6	

№	კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი\მოდული	სწავლების წელი						ჯამური ECTS კრედიტი
				I		II		III		
				ECTS კრედიტი						
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
46.	MGEC 3012.31	IMACR 1212.31	თანამედროვე საქართველოს ეკონომიკის აქტუალური გამოწვევები						6	
47.	FMAR 2012.31	IMACR 1212.31	ფინანსური ბაზარი			6				
48.	LECON 3012.31	IMACR 1212.31	შრომის ეკონომიკა					5		
49.	FIAA 3012.31	FIA 2012.31	ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი					5		
50.	IRIA 3012.31	არ გააჩნია	შესავალი რეგულირების გავლენის შეფასებაში						6	
51.	MECON 3012.31	MICR 2112.31	მენეჯერული ეკონომიკა					5		
52.	PECON 3012.31	არ გააჩნია	საჯარო ფინანსები	5						
53.	TAXP 3012.31	FFINA 1212.31	გადასახადები და საგადასახადო პოლიტიკა					5		
54.	BECON 3012.31	IMACR 1212.31	ქცევითი ეკონომიკა					5		
55.	DAVT 3012.31	DATA 3112.31	მოცაცემთა ანალიზისა და ვიზუალუზაციის საშუალებები					5		
56.	MMACR 3012.31	MACR 2212.31	თანამედროვე მაკროეკონომიკა					5		
57.	FREE 1012.31	არ გააჩნია	თავისუფალი კრედიტი 1	5						
58.	FREE 3012.31	არ გააჩნია	თავისუფალი კრედიტი 2					5		
ECTS კრედიტები			სემესტრში	30	30	33	29	32	26	
			წელიწადში	60		62		58		180